ოქმი:ო37. 3725346001

თარიღი:12/12/2025

ოქმი N 5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2025 წელი, 11 დეკემბერი

ქ. ოზურგეთი

16:00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია **-** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ტ. აროშიძე, პ. კიღურაძე, გ. ჩავლეშვილი, ბ. თოიძე, ტ. ბარამიძე, ე. გორდელაძე, მ. ჩხიკვიშვილი, ქ. ხომერიკი, დ. ჭაკნელიძე

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 11 წევრიდან სხდომას ესწრება 10 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

2. .ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპული სოციალისტები“-ს შექმნის შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ რეგისტრაციაში გატარებისა და საკრებულოს უახლოეს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლი:მარიკა ჩხიკვიშვილი

გადაწყვიტეს:

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული N1 საკითხი .“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ “დაეწეროს საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებს და ფრაქციას, განხილვისა და დასკვნის წარმოსადგენად.საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

N2-ე საკითხთან დაკავშირებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპული სოციალისტები“-ს შექმნის შესახებ, ბიუროს წევრებმა ერთხმად უყარეს კენჭი საკითხის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი